

ქ. თბილისი

29 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა200122900, კოდი: 220101222 (შემდგომში “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თბილი სახლი“ მისამართი: ქ.თბილისი, მ.კოსტავას #76 ს/კ 204976179, ს/ს „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE19BG000000175579101 ტ: +995 311525; casacalda@yahoo.com (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: შემსყიდველმა 2018-2019 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში (ორგანიზაციული კოდი: 32070202 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება) 2018 წლის 21 მარტს გამოაცხადა NNAT180004636 ელექტრონული ტენდერი ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (კლასიფიკატორის (CPV 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები; 45214300 - კოლეჯების შენობათა მშენებლობა და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე: 3 893 624,00 (სამი მილიონ რვაასოთხმოცდაცამეტიათას ექვსასოცდაოთხი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.1 ორივე მხარის წარმომადგენელი სრულად გაეცნო ხელშეკრულებას და ეთანხმება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა პირობას.

1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

- ა) ხელშეკრულების პირობები (მუხლები 1-14);
- ბ) ხელშეკრულების დანართები (Nს02); (Nს03);
- გ) დამტკიცებული პროექტ(ებ)ი (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს);
- დ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს);
- ე) ხარჯთაღრიცხვა (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს);
- ვ) ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის შესახებ (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს);
- ზ) ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს);
- თ) ს/ს „საქართველოს ბანკი“-ს მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით 2018 წლის 29 მაისს გაცემული №PE42454-18 საბანკო გარანტია (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს);

1.3. მიმწოდებელი თანხმდება შეუსრულოს შემსყიდველს სამუშაოები ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4 მიმწოდებელი ადასტურებს, რომ არსებითად განიხილა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაძლებლად მიიჩნევს სამუშაოების შესრულებას პროექტის განსაზღვრული პირობებითა და ვადების დაცვით.

1.5 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, აცნობოს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, რომლებაც შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოთა შეფერხება ან ხელი შეუშალოს პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას;

1.6. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

1.7. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

1.8. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან: - 365 კალენდარული დღეში, 2019 წლის 29 მაისის ჩათვლით.

1.9. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 29 მაისიდან 2019 წლის 28 ივნისის ჩათვლით.

## 2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები ფორმდება მხოლოდ წერილობით, შეთანხმების ოქმის ფორმით და დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით;

3.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ბათილია ნებისმიერი ზეპირი შეთანხმება ან მითითება, რომელიც ორივე მხარის მიერ წერილობით არ იქნა დადასტურებული;

3.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების ოქმის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

3.4. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველმა შეიძლება მოითხოვოს დამატებითი საბანკო გარანტია შეცვლილი გრაფიკის შესრულების უზრუნველყოფისათვის.

#### 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების ჯგუფის ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ;

4.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ფორმას განსაზღვრავს შემსყიდველი, რასაც წერილობით აცნობებს მიმწოდებელს;

4.3. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი ხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

4.4. მიმწოდებელი უზრუნველყოფს სამშენებლო მოედანზე ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით;

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

4.6. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე და გამოყენებული მასალების ხარისხზე.

#### 5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა წარმოების საფუძველია „სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი“, რომელიც ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში წარედგინება შემსყიდველს. სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი უნდა შეტანხმდეს შემსყიდველთან; ამ პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებლობა იწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების ამოქმედებას;

5.2. პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო წინადადებაში, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკისა და ხარისხის მოთხოვნების შესრულებას;

5.3. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი დარღვეულია უწყვეტად, ორი კვირის მანძილზე, ან შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად, პროექტის ხელმძღვანელი არ ცხადდება სამშენებლო მოედანზე უწყვეტად 2 კალენდარული დღის მანძილზე, შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს პროექტის ხელმძღვანელის შეცვლა, რაც უნდა განხორციელდეს 3 სამუშაო დღეში;

5.4. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 5.3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებლობა, ასევე, ვითარება, როდესაც პროექტის ხელმძღვანელი უკვე შეიცვალა

ორჯერ, წარმოადგენს ხელშეკრულების პირობათა არსებით დარღვევას, რომლის საფუძველზე შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება;

5.5. მხარეები პერიოდულად განიხილავენ სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის შესრულების საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

5.6. ხელშეკრულების შესრულების მთელ პერიოდში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმების განუხრელი შესრულება;

5.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს ჩატარებული სამუშაოები;

5.8. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისაგან;

5.9. მიმწოდებელი ვალდებულია ადადგინოს სამუშაოების წარმოების პროცესში მისი მიზეზით დაზიანებული ინფრასტრუქტურა;

5.10. მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების საფასური;

5.11. მიმწოდებელი ვალდებულია შემოთავაზებულ მოწყობილობაზე წარმოადგინოს მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული ხარისხის დამადასტურებელი და EN-ის სტანდარტის სერთიფიკატ(ებ)ის ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი და მწარმოებლის მიერ გაცემული გარანტია, რომელიც არ უნდა იყოს 2 წელზე ნაკლები. გარანტიის პირობების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელ ორგანიზაციას. აღნიშნული სერთიფიკატ(ებ)ი მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ინსპექტირების ჯგუფს ამწე მოწყობილობის დამონტაჟებამდე. საგარანტიო პერიოდის მანძილზე მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წუნდებული ამწე მოწყობილობის ან მისი ნაწილის შეცვლა. ამასთან, წუნდებული საქონლის შეცვლა უნდა განხორციელდეს სათანადო შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში. მოსაპირკეთებელ მასალებს (იზოალუმინი, კერამოგრანიტის იატაკის ფილები, საკედლე კერამიკული ფილები, ლამინატი, საღებავები, "მდფ", ჭერის შეკიდული ფილები, სახურავი) და აგრეგატებს უნდა გააჩნდეს ქარხნული ხარისხის, ევროპული სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატები, რომლებიც წარედგინება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირების ჯგუფს.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6.2. მიღება-ჩაბარების აქტს, მიმწოდებლის სახელით ხელს აწერს ხელშეკრულების ხელმომწერი ან მისი უფლებამონაცვლე პირი და პროექტის ხელმძღვანელი. შემსყიდველის მხრიდან - ხელშეკრულების ხელმომწერი პირის მიერ განსაზღვრული ჯგუფის წევრები, რაზეც გამოიცემა შესაბამისი ბრძანება;

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს შუალედური შესრულების აქტი (ფორმა №2 და ფორმა №3), შუალედური აქტში შეტანილი შესრულებული სამუშაოების მოცულობა დადასტურებული უნდა იქნას ხელშეკრულების ტექნიკური ზედამხედველის ან შესაბამისი აკრედიტირებული საექსპერტო დაწესებულებიდან გაცემული დასკვნით;

6.4. შემსყიდველის მხრიდან შუალედური შესრულების აქტს (ფორმა №2 და ფორმა №3) მიმწოდებლის სახელით ხელს აწერს პროექტის ხელმძღვანელი. შემსყიდველის მხრიდან - ხელშეკრულების ხელმომწერი პირის მიერ განსაზღვრული ჯგუფის წევრები, რაზეც გამოიცემა შესაბამისი ბრძანება;

6.5. მიღება-ჩაბარების აქტში ან შუალედური შესრულების აქტში ხარვეზის ან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს ამის შესახებ;

6.6. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს ხუთ კალენდარულ დღეში აღმოფხვრას ხარვეზები, რა პერიოდშიც იგი ყოველ ვადაგადაცხილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დადგენილი პირობის შესაბამისად.

## 7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს აძლევს გარანტიას შესრულებულ სამუშაოზე, #ს02 დანართის შესაბამისად, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ექსპლოატაციის წესები;

7.2. ამ მუხლის საჭიროებისათვის განკუთვნილი ექსპლოატაციის წესები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თან უნდა ერთვოდეს მიღება-ჩაბარების აქტს. სხვა შემთხვევაში, გარანტია ითვლება უპირობოდ;

7.3. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მიმწოდებელი, ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარანტია არ ვრცელდება ექსპლოატაციის წესების დარღვევაზე;

7.4. იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელი, შემსყიდველის წერილობითი მიმართვის შემდეგაც არ უზრუნველყოფს საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველს შეუძლია გამოიყენოს სახსრები, რომლებიც ამისათვის გათვალისწინებულია ანგარიშსწორების პირობებით (მე-8 მუხლი);

7.5. საგარანტიო პერიოდ(ებ)ი განისაზღვრება Nს02 დანართით.

## 8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისთვის წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება ნაზარდი ჯამით დღგ-ს გათვალისწინებით. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულების ღირებულებაზე, ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა ხელშეკრულების ღირებულების სრულად გადახდის ვალდებულება;

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მოახდინოს მისი დადასტურება;

8.3. ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს სამი სახის ანგარიშსწორება - საავანსო. შუალედური და საბოლოო;

8.4. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 70%-ის ოდენობით.

8.5. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია საავანსო თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული „კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

8.6. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად;

8.7. შუალედური ანგარიშსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა #2, ფორმა #3 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

8.8. შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისა და სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში; შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.9. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის და ხარისხის დამადასტურებელი ექსპერტიზა, საჭიროებისამებრ, ტარდება შემსყიდველის დაკვეთით;

8.10. თუ საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების მომენტისთვის, მიმწოდებელს არ წარმოდგენს დოკუმენტურ დასტურს, რომ ამ ხელშეკრულების 5.9 და 5.10 პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებებს ადგილი არ ჰქონია ან, ყველა ხარჯი ანაზღაურებულია, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოქვითოს შესაბამისი ხარჯები ასანაზღაურებელი თანხიდან;

## 9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემულ უპირობო გამოუთხოვად საბანკო გარანტიას, რომლის მოქმედების ვადა 90 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას; უცხოური ბანკიდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული „კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

9.2. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით;

9.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება იმ ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო;

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში;

9.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში;

9.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია;

9.7. გარანტია უნდა იყოს უპირობო, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

9.8. შესრულების გარანტიის გამოყენების ან მისი სხა მიზეზით ამოწურვის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში და ადგილზე. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით;

10.3. შესყიდვის სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს, ყოველ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით;

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შესაბამისი გაფრთხილების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ვერ უზრუნველყოფს გეგმა-გრაფიკიდან ჩამორჩენის აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულების გამო მიმწოდებელი დაჯარიმოს ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.5. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის საფუძველზე მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;

10.6. ხელშეკრულების მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

10.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.8. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, ასევე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს მიწოდების საბოლოო ვადის 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (10.3 და 10.4 პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა) მიმწოდებელი, ყოველ შემთხვევაზე, ჯარიმდება, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით;



10.10. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დასრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოითხოვოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია;

10.11. თუ შემსყიდველი ხელშეკრულების 8.8 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე პუნქტში მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გეგმა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე;

10.12. ამ მუხლის 10.8 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

10.13 ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება შესასრულებელ სამუშაოთა დაგეგმილ ვადაში დასრულებას და არ იფარება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიითა და პირგასამტეხლოს თანხით;

## 11. ქვეკონტრაქტორი

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.2 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა ეცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.3 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

11.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა


14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.


მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი ზვიად როსტომაშვილი


  
(ხელმოწერა)



მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „თბილი სახლი“ მისამართი: ქ.თბილისი, მ.კოსტავას #76 ს/კ 204976179, ს/ს „თბილისი ბანკი“; ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE19BG000000175579101 ტ: +995 311525; casacalda@yahoo.com

დირექტორი მალხაზ კურტანიძე

  
(ხელმოწერა)





ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE42454-18

თბილისი

29 მაისი 2018 წელი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი“)  
 გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869  
 გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო  
 პრინციპალი: შპს თბილი სახლი (შემდგომში „პრინციპალი“)  
 პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 204976179  
 პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქ. №76  
 ბენეფიციარი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი“)  
 ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 202294980  
 საგარანტიო თანხა: 194,681.20 (ასოთხმოცდაათოთხმეტი ათას ექვსასოთხმოცდაერთი და 20/100) ლარი  
 ტენდერის უნიკალური ნომერი: #NAT180004636

მხედველობაში ვიდებთ რა, რომ პრინციპალმა ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოების შესრულების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 194,681.20 (ასოთხმოცდაათოთხმეტი ათას ექვსასოთხმოცდაერთი და 20/100) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის საჭიროების გარეშე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელშისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 27 სექტემბერი 2019 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხას ანაზღაურებაზე გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს „საქართველოს ბანკის“ სათავის ოფისში, კანცელარიის სამსახურში, ვაკრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ, თბილისის დროით (JTC / GMT +04:00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ.#29ა, თბილისი 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

გარანტის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დასაშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.


დანართი Nს02

შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართს და შესაბამისად მის განუყოფელ ნაწილს.

1. სახურავი - 10 წელი ქანობიანი გადახურვა, 5 წელი რბილი გადახურვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. კარ-ფანჯრები - მეტალოპლასტმასი-5 წელი, საკეტები-1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები -10 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. შენობის შიდა მოპირკეთება - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ფასადის და სარინელის სამუშაოები -5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სამღებრო სამუშაოები - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. სანტექნიკა და ელექტრობა - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. გათბობის სისტემა - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. საქვაბე მეურნეობის აგრეგატები - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
10. იატაკი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. კონსტრუქციები (ახალი შენობის მშენებლობის შემთხვევაში) - 20 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
12. წყალსადენისა და კანალიზაციის გარე ქსელი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
13. ღობე - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
14. სხვა დანარჩენი - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
15. ლიფტი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
16. ლიფტის საექსპლოატაციო ვადა- 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
17. ამწე მოწყობილობა 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შ.პ.ს., „თბილი სახლი“ მისამართი: ქ.თბილისი, მ.კოსტავას #76 ს/კ 204976179, ს/ს „თბილისი ბანკი“; ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE19BG0000000175579101 ტ: +995 311525; casacalda@yahoo.com

დირექტორი მალხაზ კურტანიძე

  
(ხელმოწერა)



დანართი N103


N	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სახელშეკრულებო	2018 წელს ასათვისებელი ღირებულება	2019 წელს ასათვისებელი ღირებულება
1	კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობა	3 893 624.00	1,500,000.00	2,393,624.00


შემსყიდველი:


*გ. მ.*

მიმწოდებელი

*[Handwritten signature]*



ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის მოადგილის შესახებ	
პრეტენდენტის დასახელება: შპს "თბილი სახლი"	
პირადი მონაცემები:	
პროექტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი	დავით ჯოლბორდი
პირადი N	01024008874
საკონაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი და ელ.ფოსტა)	ქ.თბილისი, სულხან ცინცაძეს ქუჩა, N 85 info@casacalda.ge
ინფორმაცია არანაკლებ ორი ანალოგიური პროექტის წარმატებით განხორციელების შესახებ პროექტის დასახელება:	
პროექტის ღირებულება:	1. ქ.თბილისში კახეთის გზატკევილის მე-10 კილომეტრზე, საწყობის, და ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები. 2. ქ.თბილისში ე.ნინოშვილისი №8-ში მდებარე შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
განხორციელების ვადები:	1. 8 000 000 ლარი კახეთის გზატკევილის მე-10 კილომეტრი 2. 6 000 000 ლარი ე.ნინოშვილისი №8
განმახორციელებელი კომპანია:	1. 2014-2015წ თბილისში კახეთის გზატკევილის მე-10 კილომეტრი 2. 2015-2016წ ე.ნინოშვილისი №8
კომპანიის საკონაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და ელ.ფოსტა):	შპს "ჯიენემ კომპანი", სს "ნინო" 1. ა.ყაზბეგის გამზ. #47 . ტელეფონი: (+995 32) 2148502; jimcompany2014@gmail.com 2. ნინოშვილის ქ. 8 ტელეფონი: 202 03 99
დაკავებული თანამდებობა:	პროექტის მენეჯერი
პროექტის მოკლე აღწერა:	1. კახეთის გზატკევილის მე-10 კილომეტრზე მდებარე შენობის რკინა-ბეტონის , შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები. 2. ე.ნინოშვილისი №8-ში მდებარე შენობის რკინა-ბეტონის კარკასი და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები
პროექტის ხელმძღვანელის მოადგილის ხელმოწერა	
პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა	




წინარე შეთანხმება

(პროექტი)

ერთის მხრივ, ტენდერში მონაწილე პირი შპს "თბილი სახლი" (ს/კ 204976179) (შემდგომ „პრეტენდენტი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძეს სახით, იღებს ვალდებულებას და მეორეს მხრივ სატენდერო პირობების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ სპეციალისტად წარმოდგენილი პირი: პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე: დავით ჯოღობორდი, (პ/ნ 1024008874) (შემდგომ „სპეციალისტი“) ვთანხმდებით, რომ ტენდერში NAT180004636 „პრეტენდენტის“ გამარჯვების შემთხვევაში, „სპეციალისტად“ წარმოდგენილი პირი იქნება დასაქმებული პრეტენდენტთან და კომპეტენციის ფარგლებში, პირადად განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულებას.

სპეციალისტის ხელმოწერა



პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა



ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის შესახებ	
პრეტენდენტის დასახელება: შპს "თბილი სახლი"	
პირადი მონაცემები:	
პროექტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი	თეიმურაზ დარახველიძე
პირადი N	01023008605
საკონაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი და ელ.ფოსტა)	ქ.თბილისი, ჭოპორტის ქუჩა №19. info@casacalda.ge
ინფორმაცია არანაკლებ ორი ანალოგიური პროექტის წარმატებით განხორციელების შესახებ პროექტის დასახელება:	
პროექტის ღირებულება:	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის ქ №23ა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა</li> <li>2. ქ.თელავში, ნადიკვარზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა</li> </ol>
განხორციელების ვადები:	<ol style="list-style-type: none"> <li>1. 6 000 000 ლარი ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის ქ №23ა</li> <li>2. 5 000 000 ლარი ქ.თელავი, ნადიკვარი</li> </ol>
განმახორციელებელი კომპანია:	შპს „არქიტუდია“
კომპანიის საკონაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და ელ.ფოსტა):	ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, 220 74 00
დაკავებული თანამდებობა:	პროექტის მენეჯერი
პროექტის მოკლე აღწერა:	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის ქ № საცხოვრებელი სახლის სრული სამშენებლო სამუშაოები, რკინაბეტონის კარკასი, შიდა სარემონტო სამუშაოები</li> <li>2. ქ.თელავში, ნადიკვარზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის რკინა-ბეტონის კარკასის სამუშაოები</li> </ol>
პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა	
პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა	თ. ჩახახვილიძე





12/04/ 2018 წელი

წინარე შეთანხმება

(პროექტი)


ერთის მხრივ, ტენდერში მონაწილე პირი შპს "თბილი სახლი" (ს/კ 204976179) (შემდგომ „პრეტენდენტი“) წარმოდგენილი: მისი დირექტორის მალხას კურტანიძეს სახით, იღებს ვალდებულებას და მეორეს მხრივ სატენდერო პირობების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ სპეციალისტად წარმოდგენილი პირი: პროექტის ხელმძღვანელი: თეიმურაზ დარახველიძე, (პ/ნ 01023008605) (შემდგომ „სპეციალისტი“) ვთანხმდებით, რომ ტენდერში NAT180004636 „პრეტენდენტის“ გამარჯვების შემთხვევაში, „სპეციალისტად“ წარმოდგენილი პირი იქნება დასაქმებული პრეტენდენტთან და კომპეტენციის ფარგლებში, პირადად განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულებას.


სპეციალისტის ხელმოწერა

თ. დარახველიძე

პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა



ინფორმაცია მთავარი ინჟინერის შესახებ	
პრეტენდენტის დასახელება: შპს "თბილი სახლი"	
პირადი მონაცემები:	
პროექტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი	როლანდი ბერიშვილი
პირადი N	01013013621
საკონაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი და ელ.ფოსტა)	ქ.თბილისი, დემურას ქ. N 33ა info@casacalda.ge
ინფორმაცია არანაკლებ ორი ანალოგიური პროექტის წარმატებით განხორციელების შესახებ	
პროექტის დასახელება:	1. ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6 ტოიოტა ცენტრის მშენებლობის სამუშაოები 2. ქ.თბილისში, ძოწენიძის №12 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის სამუშაოები
პროექტის ღირებულება:	1. 7 000 000 ლარი უნივერსიტეტის ქუჩა №6 2. 6 000 000 ლარი ძოწენიძის №12
განხორციელების ვადები:	1. 2014 წელი უნივერსიტეტის ქუჩა №6 2. 2011 წელი, ძოწენიძის №12
განმახორციელებელი კომპანია:	შპს "ტოიოტა ცენტრი თეგეტა", შპს "სენტა პეტროლიუმი"
კომპანიის საკონაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და ელ.ფოსტა):	1. ვაკე უნივერსიტეტის ქუჩა N6, ტელ: 229 18 18, ელ.ფოსტა: info@toyota-tegeta.ge 2. კოსტავას ქ. 37/39, ტელ: 237 22 99, ელ.ფოსტა: info@senta.ge
დაკავებული თანამდებობა:	მთავარი ინჟინერი
პროექტის მოკლე აღწერა:	1. უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში მდებარე შენობის რკინა-ბეტონის კარკასის და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები. საინჟინრო ქსელების მოწყობის სამუშაოები. 2. ძოწენიძის №12 საცხოვრებელი კორპუსის რკინა-ბეტონის კარკასის და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები
მთავარი ინჟინერის ხელმოწერა	
პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა	




12/04/2018 წელი

წინარე შეთანხმება

(პროექტი)

ერთის მხრივ, ტენდერში მონაწილე პირი შპს "თბილი სახლი" (ს/კ 204976179) (შემდგომ „პრეტენდენტი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძეს სახით, იღებს ვალდებულებას და მეორეს მხრივ სატენდერო პირობების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ სპეციალისტად წარმოდგენილი პირი: მთავარი ინჟინერი: როლანდი ბერიშვილი, (პ/ნ 01013013621) (შემდგომ „სპეციალისტი“) ვთანხმდებით, რომ ტენდერში NAT180004636 „პრეტენდენტის“ გამარჯვების შემთხვევაში, „სპეციალისტად“ წარმოდგენილი პირი იქნება დასაქმებული პრეტენდენტთან და კომპეტენციის ფარგლებში, პირადად განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულებას.

სპეციალისტის ხელმოწერა



პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა



NAT-4636 იმყოფება რეზერვში

საგანმანათლებლო და საბუნებისმეტყველო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

სამუშაოების შესრულება და მოხსენიებები შინაგან  
 ქალაქ კასპის პროფესიული სასწავლებელი  
 შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი

3893624.00

1	სამუშაოს დასახელება	განხ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
<b>I. პროფსასწავლებლის შენობა</b>										
<b>დემონტაჟის სამუშაოები</b>										
1	რკინაბეტონის გადახურვის მონტაჟი	კუბ.მ	6.50		0.00	62.50	406.25		0.00	406.25
2	რკინაბეტონის რიგელების და კოლონების დემონტაჟი	კუბ.მ	88.00		0.00	62.50	5500.00		0.00	5500.00
3	რკინაბეტონის ფილის დემონტაჟი	კუბ.მ	126.00		0.00	62.50	7875.00		0.00	7875.00
4	ლიობის გაშლვა რკინაბეტონის სარდაფის კედელში	კუბ.მ	25.50		0.00	62.50	1593.75		0.00	1593.75
5	სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვიომცლელზე	ტონა	620.13		0.00	1.50	930.20	5.00	3100.65	4030.85
6	სამშენებლო ნაგვის გატანა	ტონა	620.13		0.00	1.50	930.20	5.00	3100.65	4030.85
<b>სამშენებლო სამუშაოები</b>										
